ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-2 კლასი

სავარჯიშო I. ქართული ანბანი, დამარცვლა და გადატანა

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ

1. სიტყვაში ,,წითელი“ მეხუთე ბგერა არის:
ა) თანხმოვანი ბ)ხმოვანი გ) თ

2. დაასრულეთ წინადადება: სიტყვაში ,,თუთა“ ხმოვნებისა და თანხმოვნების რაოდენობა _____.
ა) სხვადასხვაა ბ) თანაბარია გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

3. სწორად დამარცვლილი სიტყვაა:
ა)გას-აყიდ-ად ბ)ხელმ-წიფ-ე გ) მე-პუ-რე

4. შემოხაზეთ სიტყვა, რომელშიც არის მარცვალი ,,სა“:
ა)ათასგვარი ბ)მოესმა გ)საფარფატოდ

5. რამდენი ასო-ბგერა გვაქვს ქართულ ანბანში?
ა) ოცი ბ) ოცდათოთხმეტი გ) ოცდაცამეტი

6. რომელია ანბანის მეათე ასო-ბგერა?
ა) კ ბ) უ გ) პ

7. რა არის სახელწოდება ასო-ბგერისა „დ“?
ა) დენ ბ) დინ გ) დონ

8. რამდენი თანხმოვანია სიტყვაში „დაგვიანებული“?
ა) ხუთი ბ) ექვსი გ) შვიდი

9. რამდენმარცვლიანია სიტყვები: დოღი, მდოგვი, გვიმრა?
ა) ერთმარცვლიანი ბ) ორმარცვლიანი გ) სამმარცვლიანი

10. რამდენმარცვლიანია წინადადება: „ენძელამ თვალი გაახილა“?
ა) ხუთი ბ) რვა გ) ცხრა

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

11. მოცემული მსჯელობიდან რომელია სწორი?
ა) წინადადებაში სიტყვები გარკვეული რიგით არ არის დალაგებული.
ბ) წინადადება სიტყვებისაგან შედგება, სიტყვები კი - ბგერებისაგან.
გ) წინადადება სიტყვებისაგან შედგება, სიტყვები წინადადებისაგან.

12. რა სასვენ ნიშანს ვწერთ თხრობითი წინადადების ბოლოს?
ა) კითხვის ნიშანს ბ) მძიმეს გ) წერტილს

13. სწორად დაწერილი სასვენი ნიშანი არის წყვილში:
ა) დედ-მამა ბ) სიდედრ : სიმამრი გ) მამა ; შვილი

14. რომელია არასწორი შესიტყვება?
ა) არწივი-მართვე ბ) ვეფხვი-ბოკვერი გ) სპილო-ლეკვი

15. რომელია სწორი შესიტყვება?
ა) გემრიელი ვაშლი ბ) მწარე ცა გ) ცხელი ყინული

III. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა.

16. ,,ერთი ___ გული ცხრა ძმამ გაიყოო.“ ა. თხილის ბ. კარის გ. ლომის

17. ,, ასჯერ გაზომე და ___ გაჭერიო.“ ა. აღარ ბ. ალბათ გ. ერთხელ

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

18. ,,ზარმაცისათვის ყოველი ___ უქმეა.“	ა. დღე	ბ. მოდის	გ. ტყუილად
19. ,,კარგი შვილი დედის ___ ვარდიაო.“	ა. გულის	ბ. ვარდის	გ. ენძელა
20. ,,დღემეხვალიე ___ თოვლი მოადგა კარსაო.“	ა. კაცსაო	ბ. ბარსაო	გ. ჯანსაო